სსიპ კოლეჯი „ბლექსი“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა

# კატალოგი

„ერთად შევქმნათ ჩვენი მომავალი“

ბათუმი

2024

## სარჩევი

„ერთად შევქმნათ ჩვენი მომავალი“ .......... 1
სარჩევი .......... 2
1. კოლეჯის შესახებ .......... 5
2. პროგრამები .......... 5
3.პროგრამების აღწერა .......... 7
3.1 მოდულური პროგრამა - ელექტროობა (ბათუმის/შუახევის მუნიციპალიტეტის მისამართზე) .......... 7
3.2 მოდულური / დუალური პროგრამა -მშენებლობის წარმოება .......... 9
/ იატაკისა და ფილის სამუშაოები .......... 9
3.3 დუალური პროგრამა - საავტომობილო გზების მშენებლობა .......... 11
3.5 მოდულური პროგრამა - ინფორმაციის ტექნოლოგია .......... 15
3.6 მოდულური / დუალური პროგრამა -კულინარიის ხელოვნება .......... 17
საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კულინარიის ხელოვნებაში .......... 17
3.7 დუალური პროგრამა კონდიტერია .......... 19
3.8 მოდულური პროგრამა კონდიტერია .......... 21
3.9 მოდულური პროგრამა - სამკერვალო წარმოება .......... 23
3.10 დუალური პროგრამა - სარესტორნო მომსახურება .......... 25
სარესტორნო მომსახურება - საშუალო პროფესიული კვალიფიკაციასარესტორნო მომსახურებაში / Secondary Vocational .......... 25
პროგრამის ხანგრძლივობა - 2 წელი .......... 25
3.11 დუალური პროგრამა - სასტუმრო მომსახურება .......... 27
3.12 მოდულური (ინტეგრირებული) პროგრამა - სასტუმრომომსახურება .......... 29
3.13 მოდულური (არაინტეგრირებული) პროგრამა - სასტუმრომომსახურება .......... 31
3.14 დუალური პროგრამა - ანაკრები და მონოლითური კონსტრუქციების მონტაჟი .......... 33
3.15 მოდულური პროგრამა - კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება .......... 36
3.16 მოდულური პროგრამა - კომპიუტერული ქსელი და სისტემები .......... 39
კომპიუტერული ქსელი და სისტემები .......... 39
3.17 მოდულური (ინტეგრირებული) პროგრამა - კომპიუტერული ქსელი და სისტემები .......... 41
3.18 მოდულური პროგრამა - შედუღება (შუახევი მუნიციპალიტეტისმისამართზე) .......... 43
3.19 დუალური პროგრამა - მეფუტკრეობა .......... 45
3.20 მოდულური პროგრამა - შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები .......... 47
4. შეაფასოს, გააკონტროლოს და განსაზღვროს ქიმიური და ბიოქიმიური საფრთხეების პრევენციული ზომები .......... 49

4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ მოდულურ პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი ................................49
ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა ........................................................................................................ 49
5. კვალიფიკაციის მინიჭება და პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა ........................................................................................................52


ერთად შევქმნათ
ჩვენი მომავალი

## 1. კოლეჯის შესახებ

სსიპ კოლეჯი ,,ბლექსი“ წარმოადგენს ქ. ბათუმში წლების მანძილზე არსებული ყველა პროფესიული საგანმანათლებლო სასწავლებლის სამართალმემკვიდრეს. კოლეჯი ,,პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ახორციელებს შრომის ბაზარზე ორიენტირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ძირითადი მიმართულებებია:

- ტურიზმი;
- მშენებლობა;
- პარალელურად ხორციელდება პროგრამები ინჟინერიის და ტექსტილის მიმართულებით.

კოლეჯი დუალური მიდგომით ახორციელებს ტურიზმისა და სამშენებლო მიმართულებით პროგრამებს. ასევე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (მოდულური პროგრამები) პარალელურად კოლეჯი ახორციელებს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამებსა და სხვადასხვა ტიპის ტრენინგ - კურსებს.

კოლეჯს გააჩნია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. კოლეჯის საქმიანობა ხორციელდება კვალიფიციური, პრაქტიკული გამოცდილების მქონე პროფესიული განათლების მასწავლებლების, კომპანიების ინსტრუქტორების, ადმინისტრაციული პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების კოორდინირებული თანამშრომლობით.

მოდულური პროგრამების დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულებს ენიჭებათ შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა დიპლომი და დიპლომის დანართი.

კოლეჯის იურიდიული მისამართია: ქ. ბათუმი, ლერმონტოვის ქ. 92ა.

## 2. პროგრამები

კოლეჯს უფლება აქვს მოპოვებული შემდეგ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე:

- ელექტროობა;
- მშენებლობის წარმოება/იატაკისა და ფილის სამუშაოები;
- საავტომობილო გზების მშენებლობა;
- კულინარიის ხელოვნება;
- კონდიტერია;
- ინფორმაციის ტექნოლოგია;

- სამკერვალო წარმოება;
- სასტუმრო მომსახურება;
- სარესტორნო მომსახურება;
- კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება;
- კომპიუტერული ქსელი და სისტემები;
- ანაკრები და მონოლითური კონსტრუქციების მონტაჟი
- შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები
- მეფუტკრეობა (ქედის მუნიციპალიტეტის მისამართზე)
- შედუღება (შუახევი მუნიციპალიტეტის მისამართზე)
- ,,ინფორმაციის ტექნოლოგიისა" (ქედის მისამართი)

# 3. პროგრამების აღწერა

## 3.1 მოდულური პროგრამა - ელექტროობა (ბათუმის/შუახევის მუნიციპალიტეტის მისამართზე)



საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში სწავლების

ხანგრძლივობა - 9 სასწავლო თვე

(„ქართული ენა A2" მოდულის ჩათვლით - 14 სასწავლო თვე)

1. სარეგისტრაციო ნომერი - 07313-პ
2. მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში / Basic Vocational Qualification in Electricity; მისანიჭებელი კვალიფიკაცია - განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორს შეესაბამება სფეროს "ელექტროობა ენერგეტიკა" კოდი 0713.
3. პროგრამის მიზანი - პროგრამის მიზანია დაბალი ძაბვის ელექტროობაში შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება.
4. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა - საბაზო განათლება;
5. კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები: ელექტროობაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების შემთხვევაში პირი შეიძლება დასაქმდეს ნებისმიერ ორგანიზაციაში ელექტრულ დანადგარებისა და სხვა ელექტრულ აპარატურის მომსახურე პირად.

დასაქმების პოზიციები შესაძლებელია იყოს:

- ელექტრიკოსი;
- ელექტრო ტექნიკური სისტემების მემონტაჟე;
- შენობის ელექტრიკოსი;
- მომმარაგებელ-ელექტრიკოსი;
- ელექტრო-მექანიკოსი;
- ელექტრო გაყვანილობის და ფიტინგების მემონტაჟე;
- განათების სისტემების მემონტაჟე;
- ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაციის მემონტაჟე;
- დამცავი სიგნალიზაციის მემონტაჟე;
- ქუჩების განათების და ელექტრული სასიგნალო მოწყობილობების მემონტაჟე;
- ასაფრენ - დასაფრენი ბილიკების განათების მემონტაჟე;
- მზის ენერგიის ელექტრული კოლექტორების მემონტაჟე.

6. პროგრამის სტრუქტურა და მოდულები

საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს 52 კრედიტი, საიდანაც ზოგად მოდულთა კრედიტების ჯამური რაოდენობაა 10 კრედიტი, დანარჩენი პროფესიული მოდულებია. მათ შორის, 14 კრედიტი საერთო პროფესიული მოდულების კრედიტებია.

„მოდულის, ,,ქართული ენა A2“ (15 კრედიტი) გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე შერჩევის გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით. შესაბამისად, ასეთი პირებისათვის კრედიტთა ჯამური რაოდენობა იქნება 67 კრედიტი.

7. მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები: საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში - პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირს შეუძლია:

- გაუწიოს დაზარალებულს პირველადი სამედიცინო დახმარება;
- გამოიყენოს ელექტრული ტექნოლოგიები, ელექტროობის წარმოების, გადაცემისა და განაწილების საშუალებები;
- დაამონტაჟოს და შეამოწმოს განათება და ელექტრული წრედები საშინაო და მცირე საწარმოო გარემოში;
- მოიპოვოს და გამოიყენოს საინჟინრო ინფორმაცია საკომუნიკაციო ტექნოლოგიის (ICT) გამოყენებით;
- გამოთვალოს ფიგურათა მოცულობა, ფართობი და გამოიყენოს მონაცემთა გამოსახვის სტატისტიკური მეთოდები;
- წაიკითხოს და დახაზოს საინჟინრო ნახაზები სხვადასხვა ტექნიკის, მათ შორის კომპიუტერზე დაფუძნებული ხაზვის სისტემის (CAD) გამოყენებით;
- შექმნას და წარადგინოს პროექტი.

8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიდგომა

ელექტროობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულია პროგრამა, რომელიც განხორციელდება კოლეჯში და რომლის სწავლის შედეგების სრულად მიღწევა გათვალისწინებულია პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

9. სწავლების ხანგრძლივობა

სწავლების ხანგრძლივობა - 9 (ცხრა) სასწავლო თვე. თუ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე პროფესიული შერჩევის გზით ჩაირიცხა პირი, მან სავალდებულოდ უნდა დაიწყოს სწავლა ,,ქართული ენა A2” მოდულით, 15 კრედიტის მოცულობით, რომლის სწავლებაც ხორციელდება 20 სასწავლო კვირის (5 სასწავლო თვე) მანძილზე. შესაბამისად, ასეთი პირებისათვის სწავლების ხანგრძლივობა იზრდება 5 სასწავლო თვით.

## 3.2 მოდულური / დუალური პროგრამა -მშენებლობის წარმოება / იატაკისა და ფილის სამუშაოები



<u>საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია იატაკისა და ფილის სამუშაოებში</u>

<u>სწავლების ხანგრძლივობა - 2 წელი</u>

<u>(„ქართული ენა A2“ მოდულის ჩათვლით -</u>

<u>2 წელი და 5 თვე)</u>

1. სარეგისტრაციო ნომერი - 07320-პ
2. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია იატაკისა და ფილის სამუშაოებში / Basic Vocational Qualification in Floor and Tile Works

განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით კვალიფიკაცია განეკუთვნება დეტალურ სფეროს - მშენებლობა და სამოქალაქო ინჟინერია - კოდი 0732.

3. პროგრამის მიზანი - პროგრამის მიზანია მისცეს პირს შესაძლებლობა დაეუფლოს იატაკისა და ფილის სამუშაოებს. მისცეს აღნიშნული კვალიფიკაციის მიმართულებით საჭირო ცოდნა, გამოუმუშაოს შესაბამისი უნარები და კომპეტენციები, რათა შეძლოს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება და იყოს მშენებლობის სფეროსათვის მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი კადრი.
4. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა - საბაზო განათლება
5. კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები: იატაკისა და ფილის სამუშაოებში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირი შეიძლება დასაქმდეს სამოქალაქო და სამრეწველო შენობა-ნაგებობების მშენებლობაზე ღია ან/და დახურულ სივრცესა და სიმაღლეზე. ის შეიძლება იყოსთვითდასაქმებული ან დასაქმდეს სხვადასხვა ტიპის სამშენებლო-სარემონტო და დიზაინერულ კომპანიებში, სახელმწიფო ან კერძო საწარმოდაწესებულებაში, რომელთა საქმიანობა დაკავშირებული იქნება შენობა-ნაგებობის მშენებლობასა ან მის რეკონსტრუქცია-გაძლიერებასთან. მას სამუშაოების შესრულება მოუწევს სხვადასხვა კლიმატის პირობებში. დასაქმების პოზიციები შესაძლებელია იყოს:

- სხვადასხვა სახის იატაკის მომწყობი;
- მომპირკეთებელი;
- ფილის დამგები;
- სამუშაო რგოლის უფროსი;
- ბრიგადის უფროსი.

6. სტრუქტურა და მოდულები: იატაკისა და ფილის სამუშაოებში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს 82 კრედიტი, რომელთაგან 18 კრედიტი არის ზოგადი მოდულები, 64

კრედიტი არის პროფესიული მოდულები. მათ შორის, 5 კრედიტი არის საერთო სავალდებულო პროფესიული მოდულები. „მოდულის, ,ქართული ენა A2“ (15 კრედიტი) გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე შერჩევის გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით. შესაბამისად, ასეთი პირებისათვის კრედიტთა ჯამური რაოდენობა იქნება 97 კრედიტი.

7. მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები: იატაკისა და ფილის სამუშაოებში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირს შეუძლია:

- მოამზადოს იატაკი და კედელი მოსაპირკეთებლად;
- დაახარისხოს ფილები სხვადასხვა ფორმებად;
- დაჭრას ფილები სხვადასხვა ფორმებად;
- მოამზადოს დუღაბი და წებო-ცემენტის ნაზავი ფილებისა და მოზაიკური ფილების დასაგებად;
- დააგოს მეტლახის, გრანიტის, ვინილის ტიპის, რბილი და სხვადასხვა ზედაპირის იატაკი;
- განახორციელოს ბეტონისა და პოლიმერული სამრეწველო იატაკის მოჭიმვა;
- დაამუშაოს გამშრალი დუღაბის და ქვიშა-ცემენტის ხსნარით დამზადებული იატაკი;
- მოაწყოს ფილისქვეშა ჰიდროიზოლაცია;
- მოაწყოს იატაკი ხის მასალისგან უსაფრთხოების ნორმების დაცვით;

8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიდგომები:

პროგრამა ხორციელდება ორგვარი მიდგომით: მხოლოდ დაწესებულებაში და დუალური მიდგომით. კერძოდ, სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისთვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 52 % მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებების ფარგლებში.

9. სწავლების ხანგრძლივობა - სწავლების ხანგრძლივობა პროგრამის დუალური სწავლების მიდგომით განხორციელების შემთხვევაში შეადგენს ორ წელს. სწავლების ხანგრძლივობა პროგრამის სრულად დაწესებულებაში განხორციელების შემთხვევაში შეადგენს 15 სასწავლო თვეს (62 სასწავლო კვირა). თუ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე პროფესიული შერჩევის გზით ჩაირიცხა პირი, მან სავალდებულოდ უნდა დაიწყოს სწავლა ,,ქართული ენა A2” მოდულით, 15 კრედიტის მოცულობით, რომლის სწავლებაც ხორციელდება 20 სასწავლო კვირის ( 5 სასწავლო თვე) მანძილზე. შესაბამისად, ასეთი პირებისათვის სწავლების ხანგრძლივობა იზრდება 5 სასწავლო თვით.

## 3.3 დუალური პროგრამა - საავტომობილო გზების მშენებლობა



საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საგზაო მშენებლობაში

სწავლების ხანგრძლივობა - 2 წელი (,,ქართული ენა A2" მოდულის ჩათვლით - 2 წელი და 5 თვე)

1. სარეგისტრაციო ნომერი - 07318-პ
2. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საგზაო მშენებლობაში / Basic Vocational Qualification in Road Construction კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - მშენებლობა და სამოქალაქო ინჟინერია- კოდი 0732
3. პროგრამის მიზანი: - პროგრამის მიზანია მოამზადოს კვალიფიციური სპეციალისტები საგზაო მშენებლობაში, რომლებიც შეძლებენ საავტომობილო გზების მშენებლობას, მომსახურებას, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა–შენახვას, რემონტს, რეკონსტრუქციასა და რეაბილიტაციას.
4. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები - საბაზო განათლება, მინიმალური ასაკი - 18 წელი.
5. კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები საავტომობილო გზების მშენებლობის მიმართულების გავლის შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს ნებისმიერ სახელმწიფო ან კერძო ორგანიზაციაში, რომელთა საქმიანობაც დაკავშირებული იქნება გზების მშენებლობასთან, რეაბილიტაციასა და ექსპლუატაციასთან.
6. პროგრამის სტრუქტურა და მოდულები - საავტომობილო გზების მშენებლობის პროგრამა მოიცავს 5 ზოგად მოდულს 14 კრედიტის ჯამური ოდენობით; 6 საერთო პროფესიულ მოდულს 18 კრედიტის ჯამური ოდენობით და საავტომობილო გზების მშენებლობის სპეციალიზაციის 5 პროფესიულ მოდულს 47 კრედიტის ჯამური ოდენობით და ერთ არჩევით მოდულს 5 კრედიტის მოცულობით. საგზაო მშენებლობაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისათვის (კონცენტრაცია - საავტომობილო გზების მშენებლობა) პირმა უნდა დააგროვოს 84 კრედიტი. „მოდულის, ,,ქართული ენა A2" (15 კრედიტი) გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე შერჩევის გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით. შესაბამისად, ასეთი პირებისათვის კრედიტთა ჯამური რაოდენობა იქნება 99 კრედიტი.
7. მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები: საგზაო მშენებლობაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირს კონცენტრაციისთვის „საავტომობილო გზების მშენებლობა" შეუძლია:

- მართოს ინფორმაცია პროფესიის შესახებ;
- აღწეროს კონკრეტულ პროფესიაში ორგანიზაციული მოწყობის ძირითადი პრინციპები;
- დასახოს და განახორციელოს პროფესიული ზრდისა და განვითარების კონკრეტული მიზნები;
- შეარჩიოს სამშენებლო მასალები, ხელსაწყო – იარაღები და ინვენტარი;
- შეამოწმოს საგზაო საფარის მოწყობისთვის მიწის ვაკისის მზადყოფნა;
- შეასრულოს სამუშაო უბანზე ასფალტობეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები;
- შეასრულოს სამუშაო უბანზე ცემენტობეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები;
- შეასრულოს სამუშაო უბანზე ქვაფენილის მოწყობის სამუშაოები;
- მართოს საგზაო მასალების ნარჩენები;
- გამოავლინოს არსებული საავტომობილო გზების დაზიანებული უბნები;
- მონაწილეობა მიიღოს საავტომობილო გზებზე მოძრაობის შეზღუდვის პროცესში;
- შეაკეთოს საავტომობილო გზების სამოსის დაზიანებული უბანი;
- გაუშვას ექსპლუატაციაში შეკეთებული უბანი.

8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიდგომა: საავტომობილო გზების მშენებლობის პროფესიული სპეციალიზაცისთვის შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება დუალური მიდგომით. კერძოდ, სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისთვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 65 % მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებების ფარგლებში.

9. სწავლების ხანგრძლივობა: სწავლების ხანგრძლივობა შეადგენს 2 წელს.

   თუ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე პროფესიული შერჩევის გზით ჩაირიცხა პირი, მან სავალდებულოდ უნდა დაიწყოს სწავლა ,,ქართული ენა A2" მოდულით, 15 კრედიტის მოცულობით,რომლის სწავლებაც ხორციელდება 20 სასწავლო კვირის ( 5 სასწავლო თვე) მანძილზე. შესაბამისად, ასეთი პირებისათვის სწავლების ხანგრძლივობა იზრდება 5 სასწავლო თვით.

## 3.5 მოდულური პროგრამა - ინფორმაციის ტექნოლოგია



საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიისმხარდაჭერაში. სწავლების ხანგრძლივობა - 11 თვე (,,ქართული ენაA2” მოდულის ჩათვლით - 1 6 სასწავლო თვე)

1. სარეგისტრაციო ნომერი: 06112-პ

2. მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში / Basic Vocational Qualification in Information Technology Support;

განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED – ის მიხედვით აღნიშნული კვალიფიკაცია განეკუთვნება დეტალურ სფეროს - „ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები, მონაცემთა ბაზების, ქსელების დიზაინი და ადმინისტრირება“ (კოდი 0612).

3. პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროსთვის კონკურენტუნარიანი კადრის - პერსონალური კომპიუტერის აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის კვალიფიცირებული სპეციალისტის მომზადება, რომელიც ფლობს აპარატურული უზრუნველყოფისა და ოპერაციული სისტემების დაყენების, განახლების, დაზიანებების აღმოფხვრის, ოპტიმიზაციის, დიაგნოსტირებისა და მომსახურებისათვის საჭირო სპეციალურ ტექნიკურ უნარ-ჩვევებს; აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.

4. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: საბაზო განათლება

5. კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულსშეუძლია დასაქმდეს ტექნიკური მხარდაჭერის სპეციალისტად ნებისმიერ სახელწიფო/მუნიციპალურ ორგანიზაციაში ან/და კერძო კომპანიაში, სადაც გამოიყენება ინფორმაციული ტექნოლოგიები.

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი: 62.09.0; 95.11; 95.11.0
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 3512

6. სტრუქტურა და მოდულები:

პროგრამის მოცულობა - 61 კრედიტი

„მოდულის, ,,ქართული ენა A2“ გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე შერჩევის გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ

საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით. შესაბამისად, ასეთი პირებისათვის კრედიტთა ჯამური რაოდენობა იქნება 76 კრედიტი,

7. მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები: ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირს შეუძლია:

- ააწყოს და დააკომპლექტოს პერსონალური კომპიუტერი;
- დაამოტაჟოს პერიფერიული მოწყობილობები;
- დააინსტალიროს და გამართოს ოპერაციული სისტემი;
- დააინსტალიროს გამოყენებითი პროგრამული უზრუნველყოფა;
- უზრუნველყოს ოპერაციული სისტემის უსაფრთხოება;
- განასხვაოს ქსელების ფუნდამენტური პრინციპები და ტიპები;
- გაარჩიოს ქსელში ინფორმაციის მიმოცვლის მოდელების (TCP/IP,OSI) შრეები და ამ შრეებზე მომუშავე პორტები და ოქმი;
- გამართოს მარტივი სადენიანი და უსადენო შიდა ქსელის გამართვა;
- შეაფასოს აპარატურული და პროგრამული რისკები და განსაზღვროს პრევენციული ზომები;
- მოახდინოს აპარატურული და პროგრამული პრობლემის იდენტიფიცირება და აღმოფხვრას გაუმართაობა.

8. სწავლების ხანგრძლივობა - 11 სასწავლო თვე; იმ პირთათვის ვინც სწავლას დაიწყებს ,,ქართული ენა A2" მოდულით სწავლების ხანგრძლივობა იქნება 16 სასწავლო თვე.



## 3.6 მოდულური / დუალური პროგრამა -კულინარიის ხელოვნება

საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კულინარიის ხელოვნებაში

1. ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი - 10117-პ

2. მისანიჭებელი კვალიფიკაცია- ქართულ და ინგლისურ ენაზე

საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კულინარიის ხელოვნებაში / Basic Vocational Qualification in Cooking - მისანიჭებელი კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - სასტუმრო, რესტორანი და კვება - კოდი 1013. აღმწერი -„შეისწავლის საკვების, სასმელის, დაბინავების და სხვა დაკავშირებულ მომსახურებებს სასტუმროსა და რესტორანში“.

3. პროგრამის მიზანი - პროგრამის მიზანია როგორც ადგილობრივი, ასევე, საერთაშორისო შრომის ბაზრისათვის მოამზადოს საკვები პროდუქტების კულინარიის სპეციალისტი, რომელიც შეძლებს სასტუმროს და რესტორნის სამზარეულოში მუშაობას კვების ჰიგიენის, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებისა და სურსათის უვნებლობის წესების დაცვით.

4. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა - საბაზო განათლება

5. დასაქმების შესაძლებლობები: კულინარიის ხელოვნების საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდესნებისმიერი ტიპის სასტუმროში, რესტორანსა და სხვა კვებისა და შინა ობიექტებში, სადაც გეგმავენ, ორგანიზებას უკეთებენ და ამზადებენ საკვებს შემდეგ პოზიციებზე: სასურსათო კვების მომსახურების პუნქტების მომსახურე პერსონალი, მზარეულები, სამზარეულოში დამხმარეები.

6. სტრუქტურა და მოდულები:

კულინარიის ხელოვნებაში საბაზო კვალიფიკაციისთვის პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად 80 კრედიტი, რომელთაგან 7 კრედიტი არის ზოგადი მოდულები, 18 კრედიტი არის საერთო პროფესიული მოდულები, ხოლო დანარჩენი 55 კრედიტი არის პროფესიული მოდულები.

მოდულის ,,ქართული ენა A2“ გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე შერჩევის გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით. შესაბამისად, ასეთი პირებისათვის კრედიტთა ჯამური რაოდენობა იქნება 95 კრედიტი.

7. მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები კულინარიის ხელოვნებაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირს შეუძლია:

- განახორციელოს საკვები პროდუქტებისა და ნედლეულის პირველადი და მექანიკური დამუშავება;
- განახორციელოს ნედლეულისა და პროდუქტის თერმული დამუშავება;
- მოამზადოს მარტივი კერძები;
- მოამზადოს ქართული სამზარეულოს გავრცელებული ძირითადი კერძები და გარნირები;
- მოამზადოს საერთაშორისო სამზარეულოს გავრცელებული ძირითადი კერძები და გარნირები;
- განსაზღვროს კერძის მოსამზადებლად საჭირო ნედლეულის რაოდენობა;
- განახორციელოს პროდუქტისა და დამხმარე მასალების შეკვეთა და მიღება-განთავსება;
- აღრიცხოს ვადაგასული და გაფუჭებული პროდუქტი.

8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიდგომები

კულინარიის ხელოვნების პროფესიული სპეციალიზაცისთვის შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის განხორციელება შესაძლებელია ორგვარი მიდგომით:

I. პროგრამა ხორციელდება დაწესებულებაში და ყველა სწავლის შედეგი მიიღწევა დაწესებულებაში.

II. პროგრამა ხორციელდება დუალური მიდგომით. კერძოდ, სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებისთვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 51% მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებების ფარგლებში.

9. სწავლების ხანგრძლივობა :

- სწავლების ხანგრძლივობა პროგრამის დუალური სწავლების მიდგომით განხორციელების შემთხვევაში შეადგენს ორ წელს.
- სწავლების ხანგრძლივობა პროგრამის დაწესებულებაში განხორციელების შემთხვევაში შეადგენს 15 სასწავლო თვეს.

თუ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე პროფესიული შერჩევის გზით ჩაირიცხა პირი, მან სავალდებულოდ უნდა დაიწყოს სწავლა ,,ქართული ენა A2” მოდულით, 15 კრედიტის მოცულობით, რომლის სწავლებაც ხორციელდება 20 სასწავლო კვირის ( 5 სასწავლო თვე) მანძილზე. შესაბამისად, ასეთი პირებისათვის სწავლების ხანგრძლივობა იზრდება 5 სასწავლო თვით.

## 3.7 დუალური პროგრამა კონდიტერია



საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კონდიტერიაში. სწავლების ხანგრძლივობა - 2 წელი (ქართული ენა - A2" მოდულის ჩათვლით 2 წელი და 5 თვე)

1. ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი - 10117-პ
2. მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე-

საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კონდიტერიაში / Basic Vocational Qualification in Confectionery მისანიჭებელი კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - სასტუმრო, რესტორანი და კვება - კოდი 1013. აღწერი - „შეისწავლის საკვების,სასმელის, დაბინავების და სხვა დაკავშირებულ მომსახურებებს სასტუმროსა და რესტორანში".

3. პროგრამის მიზანი -პროგრამის მიზანია მოამზადოს კონდიტერიის სპეციალისტი, რომელიც შეძლებს სხვადასხვა სახის საკონდიტრო ნაწარმის მომზადებას სანიტარულ - ჰიგიენური ნორმებისა და სურსათის უვნებლობის წესების დაცვით.
4. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა - საბაზო განათლება
5. დასაქმების შესაძლებლობები:

კონდიტერის საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს საკონდიტრო საამქროებში, საცხობებში, სუპერმარკეტებში, სხვადასხვა კლასის რესტორნებში, კაფეებში, სასტუმროებში, საკურორტო, გასართობ, ტურისტულ კომპლექსებში შემდეგ პოზიციებზე: მცხობელები, მეშოკოლადეები, კონდიტერები და ტკბილეულის დამამზადებლები. კურსდამთავრებულს შეუძლია საკუთარი ბიზნესის წარმოება - თვითდასაქმება.

6. სტრუქტურა და მოდულები: პროგრამის მოცულობა - 80 კრედიტი.

კონდიტერიაში საბაზო კვალიფიკაციისთვის პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად 80 კრედიტი, რომელთაგან 7 კრედიტი არის ზოგადი მოდულები, 18 კრედიტი არის საერთო პროფესიული მოდულები, ხოლო დანარჩენი 55 კრედიტი არის პროფესიული მოდულები.

მოდულის ,,ქართული ენა A2" გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე შერჩევის გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით. შესაბამისად, ასეთი პირებისათვის

კრედიტთა ჯამური რაოდენობა იქნება 95 კრედიტი. 7. მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები: კონდიტერიაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირს შეუძლია:

- მოამზადოს სხვადასხვა სახის პურ-ფუნთუშეული, მათ შორის ბრიოში;
- მოამზადოს ჰოთ-დოგის, ტოსტის პური;
- მოამზადოს კრუასანი, დენიშები, ნამცხვრები;
- მოამზადოს საკონდიტრო კრემები, სუფლე, ზეფირი დაგანაში;
- მოამზადოს ვაჟინი, საკონდიტრო სოუსი, მინანქარი, ჟელე, მარმელადი, ჯემი, კონფიტიური, ჰიქურა და მურაბა;
- მოამზადოს შოკოლადი, შაქრის ცომი, მარციპანი და კარამელი;
- მოამზადოს ცივი და ცხელი დესერტები;
- შეადგინოს სადღესასწაულო ტორტის ესკიზი და ნახაზი;
- გამოაცხოს სხვადასხვა სახის ტორტი;
- აღრიცხოს ვადაგასული და გაფუჭებული პროდუქტი.

8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიდგომა: კონდიტერიის პროფესიული სპეციალიზაცისთვის შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის განხორციელება შესაძლებელია დუალური მიდგომით: კერძოდ, სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებისთვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 53% მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებების ფარგლებში.

9. სწავლების ხანგრძლივობა: სწავლების ხანგრძლივობა შეადგენს ორ წელს.

თუ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე პროფესიული შერჩევის გზით ჩაირიცხა პირი, მან სავალდებულოდ უნდა დაიწყოს სწავლა ,,ქართული ენა A2" მოდულით, 15 კრედიტის მოცულობით, რომლის სწავლებაც ხორციელდება 20 სასწავლო კვირის (5 სასწავლო თვე) მანძილზე. შესაბამისად, ასეთი პირებისათვის სწავლების ხანგრძლივობა იზრდება 5 სასწავლო თვით.

## 3.8 მოდულური პროგრამა კონდიტერია



საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კონდიტერიაში. სწავლების ხანგრძლივობა - 16 სასწავლო თვე (ქართული ენა - A2" მოდულის ჩათვლით 21 სასწავლო თვე)

1. ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი - 10117-პ
2. მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე-

საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კონდიტერიაში / Basic Vocational Qualification in Confectionery მისანიჭებელი კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - სასტუმრო, რესტორანი და კვება - კოდი 1013. აღმწერი - „შეისწავლის საკვების,სასმელის, დაბინავების და სხვა დაკავშირებულ მომსახურებებს სასტუმროსა და რესტორანში".

3. პროგრამის მიზანი -პროგრამის მიზანია მოამზადოს კონდიტერიის სპეციალისტი, რომელიც შეძლებს სხვადასხვა სახის საკონდიტრო ნაწარმის მომზადებას სანიტარულ - ჰიგიენური ნორმებისა და სურსათის უვნებლობის წესების დაცვით.
4. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა - საბაზო განათლება
5. დასაქმების შესაძლებლობები:

კონდიტერის საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს საკონდიტრო საამქროებში, საცხობებში, სუპერმარკეტებში, სხვადასხვა კლასის რესტორნებში, კაფეებში, სასტუმროებში, საკურორტო, გასართობ, ტურისტულ კომპლექსებში შემდეგ პოზიციებზე:

მცხობელები, მეშოკოლადეები, კონდიტერები და ტკბილეულის დამამზადებლები. კურსდამთავრებულს შეუძლია საკუთარი ბიზნესის წარმოება - თვითდასაქმება.

6. სტრუქტურა და მოდულები: პროგრამის მოცულობა - 80 კრედიტი.

კონდიტერიაში საბაზო კვალიფიკაციისთვის პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად 80 კრედიტი, რომელთაგან 7 კრედიტი არის ზოგადი მოდულები, 18 კრედიტი არის საერთო პროფესიული მოდულები, ხოლო დანარჩენი 55 კრედიტი არის პროფესიული მოდულები.

მოდულის ,,ქართული ენა A2" გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე შერჩევის გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით. შესაბამისად, ასეთი პირებისათვის

კრედიტთა ჯამური რაოდენობა იქნება 95 კრედიტი. 7. მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები: კონდიტერიაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირს შეუძლია:

1. მოამზადოს სხვადასხვა სახის პურ-ფუნთუშეული, მათ შორის ბრიოში;
2. მოამზადოს ჰოთ-დოგის, ტოსტის პური;
3. მოამზადოს კრუასანი, დენიშები, ნამცხვრები;
4. მოამზადოს საკონდიტრო კრემები, სუფლე, ზეფირი დაგანაში;
5. მოამზადოს ვაჟინი, საკონდიტრო სოუსი, მინანქარი, ჟელე, მარმელადი, ჯემი, კონფიტიური, ჩირჩხელა და მურაბა;
6. მოამზადოს შოკოლადი, შაქრის ცომი, მარციპანი და კარამელი;
7. მოამზადოს ცივი და ცხელი დესერტები;
8. შეადგინოს სადღესასწაულო ტორტის ესკიზი და ნახაზი;
9. გამოაცხოს სხვადასხვა სახის ტორტი;
10. აღრიცხოს ვადაგასული და გაფუჭებული პროდუქტი.

7. სწავლების ხანგრძლივობა: სწავლების ხანგრძლივობა შეადგენს 16 სასწავლო თვეს.

თუ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე პროფესიული შერჩევის გზით ჩაირიცხა პირი, მან სავალდებულოდ უნდა დაიწყოს სწავლა ,,ქართული ენა A2" მოდულით, 15 კრედიტის მოცულობით, რომლის სწავლებაც ხორციელდება 20 სასწავლო კვირის (5 სასწავლო თვე) მანძილზე. შესაბამისად, ასეთი პირებისათვის სწავლების ხანგრძლივობა იზრდება 5 სასწავლო თვით.

## 3.9 მოდულური პროგრამა - სამკერვალო წარმოება



სამკერვალო წარმოება, საბაზო პეოფესიული კვალიფიკაცია სამკერვალო წარმოებაში სწავლების ხანგრძლივობა - 19 თვე („ქართული ენა A2" მოდულის ჩათვლით - 24 სასწავლო თვე)

1. სარეგისტრაციო ნომერი: 07120-პ
2. მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სამკერვალო წარმოებაში საკანონმდებლო ბაზა:
    - საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ
    - ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო
    - სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის პროფესიული სტანდარტი
3. პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია სამკერვალო წარმოებისათვის მაღალკვალიფიციური სპეციალისტის მომზადება, რომელიც შეძლებს, ქალის, მამაკაცის, ბავშვის ტანსაცმლის და სხვადასხვა დანიშნულების სამკერვალო ნაწარმის კონსტრუირებას, მოდელირებას და მასალაში შესრულებას, ასევე, ქართული ეროვნული სამოსის მასალაში შესრულებას და დეკორატიულ გაფორმებას, ტანსაცმლის შეკეთებას, გადაკეთებას და აღდგენას, საკერავი მანქანებისა და თბურ-დანამვითი დანადგარების შერჩევა/გამოყენებას და სამკერვალო ნაწარმის ხარისხის კონტროლს.
4. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: საბაზო განათლება
5. კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები: საბაზო პროფესიული კვალიფიკაციით სამკერვალო წარმოებაში პირს შეუძლია დასაქმდეს დიდი, საშუალო და მცირე სიმძლავრის სამკერვალო საწარმოებში, მოდის სალონებში მკერავის და კონსტრუქტორის პოზიციაზე.
6. სწავლის შედეგები: პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:
    - უზრუნველყოს უსაფრთხო სამუშაო ადგილის ორგანიზება;
    - შექმნას სხვადასხვა დანიშნულების ტანსაცმლის კომპოზიცია;
    - შეარჩიოს სამკერვალო ნაწარმის დამზადებისათვის საჭირო ძირითადი და დამხმარე მასალები, დაამზადოს ჩანახაზი და გამოჭრას ქსოვილი;
    - გამოიყენოს ტანსაცმლის დამზადებისათვის საჭირო სხვადასხვა დანიშნულების სამკერვალო მანქანები და თბურ-დანამვითი დამუშავების მოწყობილობები;
    - დაამუშაოს ტექნოლოგიურად ტანსაცმლის დეტალები და ძირითადი კვანძები;

- გაიანგარიშოს საწყისი მონაცემები ქალის, მამაკაცისა და ბავშვის ტანსაცმლის კონსტრუქტორული დაგეგმარებისათვის;
- განახორციელოს ქალის, მამაკაცისა და ბავშვის ტანსაცმლის კონსტრუქტორული დაგეგმარება და მოდელირება;
- გააფორმოს დეკორატიულად ქართული ეროვნული სამოსი;
- შეასრულოს მასალაში ქართული ეროვნული სამოსი;
- შეასრულოს მასალაში ქალის ტანსაცმელი;
- შეასრულოს მასალაში მამაკაცის ტანსაცმელი;
- შეასრულოს მასალაში ბავშვის ტანსაცმელი;
- შეასრულოს მასალაში სხვადასხვა დანიშნულების სამკერვალო ნაწარმი;
- გადააკეთოს ტანსაცმელი;
- აღადგინოს ტანსაცმლის დაზიანებული უბნები.

7. პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა: 100 კრედიტი;

„მოდულის, ,,ქართული ენა A2“ (15კრედიტი) გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე შერჩევის გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით. შესაბამისად, ასეთი პირებისათვის კრედიტთა ჯამური რაოდენობა იქნება 115 კრედიტი.

8. სწავლების ხანგრძლივობა: სწავლების ხანგრძლივობა შეადგენს 19 სასწავლო თვეს.

თუ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე პროფესიული შერჩევის გზითჩაირიცხა პირი, მან სავალდებულოდ უნდა დაიწყოს სწავლა ,ქართული ენა A2” მოდულით, 15 კრედიტის მოცულობით,რომლის სწავლებაც ხორციელდება 20 სასწავლო კვირის ( 5სასწავლო თვე) მანძილზე. შესაბამისად, ასეთი პირებისათვის სწავლების ხანგრძლივობა იქნება 24 სასწავლო თვე.

## 3.10 დუალური პროგრამა - სარესტორნო მომსახურება



სარესტორნო მომსახურება - საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სარესტორნო მომსახურებაში / Secondary Vocational Qualification in Restaurant Service
პროგრამის ხანგრძლივობა - 2 წელი
(ქართული ენა A2 და ქართულიენა B1 ჩათვლით - 2წელი და 10 თვე).

1. სარეგისტრაციო ნომერი - 10117-პ
2. მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია - საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია
3. სარესტორნო მომსახურებაში / Secondary Vocational Qualification in Restaurant Service
4. პროგრამის მიზანი - პროგრამის მიზანია როგორც ადგილობრივი, ასევე, საერთაშორისო შრომის ბაზრისათვის მოამზადოს სარესტორნო მომსახურების სპეციალისტები.
5. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება
6. კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:

სარესტორნო მომსახურების საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს რესტორნებში, კაფეებსა და საკვებით მობილური მომსახურების ობიექტებში შემდეგ პოზიციებზე: მიმტანები, სასურსათო კვების მომსახურების პუნქტების მომსახურე პერსონალი.კურსდამთავრებულს შეუძლია საკუთარი ბიზნესის წარმოება - თვითდასაქმება.

7. სწავლის შედეგები: პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:
   - განახორციელოს სერვისი და სერვირება რესტორანსა და კაფეში;
   - განახორციელოს შესყიდვებისა და მარაგების მონიტორინგი;
   - შეადგინოს კვების ობიექტის ბიზნესგეგმა;
   - შეადგინოს კვების ობიექტის ფინანსური გეგმა;
   - განახორციელოს ობიექტის ფუნქციონირების კონტროლი;
   - განახორციელოს სამუშაო პროცესის ორგანიზება;
   - განახორციელოს დღესასწაულების, პრეზენტაციების, საქმიანი შეხვედრების, კონფერენციების ორგანიზება;
   - უზრუნველყოს კვების ობიექტზე სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა დანერგვა;
   - მართოს პრობლემური სიტუაციები.
8. პროგრამის მოცულობა : 91 კრედიტი; საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სარესტორნო მომსახურება მოიცავს 2 ზოგად მოდულს ჯამური 8 კრედიტის ოდენობით, 7 საერთო პროფესიულ მოდულს ჯამური 18

კრედიტის ოდენობით, 11 პროფესიულ მოდულს ჯამური 54 კრედიტის ოდენობით და 2 არჩევით მოდულს ჯამური 11 კრედიტის ოდენობით. სარესტორნო მომსახურებაში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პირმა უნდა დააგროვოს 91 კრედიტი. მოდულების, ,,ქართული ენა A2“ და ,,ქართული ენა B1” გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე შერჩევის გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით. შესაბამისად, ასეთი პირებისათვის კრედიტთა ჯამური რაოდენობა იქნება 121 კრედიტი.

9. სწავლების ხანგრძლივობა: სწავლების ხანგრძლივობა შეადგენს 2 წელს. თუ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე პროფესიული შერჩევის გზით ჩაირიცხა პირი, მან სავალდებულოდ უნდა დაიწყოს სწავლა ,,ქართული ენა A2” და ,,ქართული ენა B1” მოდულებით, 15 - 15 კრედიტის მოცულობით, რომელთა სწავლებაც ხორციელდება 40 სასწავლო კვირის (10 სასწავლო თვე) მანძილზე. შესაბამისად, ასეთი პირებისათვის სწავლების ხანგრძლივობა იზრდება 10 სასწავლო თვით.

## 3.11 დუალური პროგრამა - სასტუმრო მომსახურება



სასტუმრო მომსახურება - საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სასტუმრო მომსახურებაში / Secondary Vocational Qualification in Hotel Service პროგრამის ხანგრძლივობა - 2 წელი
(ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 ჩათვლით - 2 წელი და 10 თვე).

1. სარეგისტრაციო ნომერი - 10117-პ
2. მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია - საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სასტუმრო მომსახურებაში / Secondary Vocational Qualification in Hotel Service
3. პროგრამის მიზანი - პროგრამის მიზანია როგორც ადგილობრივი, ასევე, საერთაშორისო შრომის ბაზრისათვის მოამზადოს სასტუმრო მომსახურების სპეციალისტები.
4. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება
5. კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები: სასტუმრო მომსახურების საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს სასტუმროებსა და განთავსების მსგავს ორგანიზაციებში (რესტორნებით და რესტორნების გარეშე) შემდეგ პოზიციაზე: სასტუმროს მიმღების ოპერატორები, ოფისების, სასტუმროებისა და სხვა დაწესებულებების დასუფთავება-დალაგების მეთვალყურეები.
6. სწავლის შედეგები: პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:
   - განახორციელოს დაჯავშნისა და მიღება-განთავსების პროცედურა;
   - უზრუნველყოს დასუფთავების მომსახურება;
   - შეასრულოს სასტუმროს შიდა, მარტივი მარკეტინგული საქმიანობა;
   - უზრუნველყოს სასტუმროს უსაფრთხოების წესების დანერგვა;
   - სასტუმროში მართოს პრობლემური სიტუაციები;
   - აკონტროლოს ცვლების მონაცვლეობა;
   - უზრუნველყოს სასტუმროს ძირითადი და დამატებითი მომსახურებების მიწოდება.
7. პროგრამის მოცულობა : 80 კრედიტი; საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სასტუმრო მომსახურება მოიცავს 2 ზოგად მოდულს ჯამური 8 კრედიტის ოდენობით, 7 საერთო პროფესიულ მოდულს ჯამური 18 კრედიტის ოდენობით, 11 პროფესიულ მოდულს ჯამური 54 კრედიტის ოდენობით. საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პირმა უნდა დააგროვოს 80 კრედიტი.

მოდულების, ,,ქართული ენა A2“ და ,,ქართული ენა B1” გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე შერჩევის გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით. შესაბამისად, ასეთი პირებისათვის კრედიტთა ჯამური რაოდენობა იქნება 110 კრედიტი.

8. სწავლების ხანგრძლივობა: სწავლების ხანგრძლივობა შეადგენს 2 წელს.

თუ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე პროფესიული შერჩევის გზით ჩაირიცხა პირი, მან სავალდებულოდ უნდა დაიწყოს სწავლა ,,ქართული ენა A2” და ,,ქართული ენა B1” მოდულებით, 15 - 15 კრედიტის მოცულობით, რომელთა სწავლებაც ხორციელდება 40 სასწავლო კვირის (10 სასწავლო თვე) მანძილზე.

შესაბამისად, ასეთი პირებისათვის სწავლების ხანგრძლივობა იზრდება 10 სასწავლო თვით.

## 3.12 მოდულური (ინტეგრირებული) პროგრამა - სასტუმრომომსახურება



სასტუმრო მომსახურება - საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სასტუმრო მომსახურებაში / Secondary Vocational Qualification in Hotel Service პროგრამის ხანგრძლივობა - 3 წელი
(ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 ჩათვლით - 3 წელი და 10 თვე).

1. სარეგისტრაციო ნომერი - 10117-პ
2. მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია - საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სასტუმრო მომსახურებაში / Secondary Vocational Qualification in Hotel Service
3. პროგრამის მიზანი - პროგრამის მიზანია როგორც ადგილობრივი, ასევე, საერთაშორისო შრომის ბაზრისათვის მოამზადოს სასტუმრო მომსახურების სპეციალისტები.
4. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: საბაზო განათლება
